სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგია
2026-2030

სარჩევი

ტერმინთა განმარტება 3

შესავალი 5

თავი პირველი: ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ძირითადი შედეგები და გამოწვევები 6

ცენტრის ხედვა 2030: 6

სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და შესაბამისი ინდიკატორები 2030 წლისთვის 6

სტრატეგიული მიზანი №1: ცენტრის ორგანიზაციული განვითარება/დამოუკიდებლობა 6
სტრატეგიული მიზანი №2: განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობით, თანამედროვე მიდგომების და ინსტრუმენტების დანერგვა, განათლების ხარისხის ზრდის და განათლების აღიარების მიზნით 10
სტრატეგიულის მიზანი №3: განათლების ყველა საფეხურზე, განათლების ხარისხის კულტურის მუდმივი განვითარების ხელშეწყობა 16
სტრატეგიული მიზანი №4: მოქნილი, მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის და ციფრულად ხელმისაწვდომი სერვისების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რაც უზრუნველყოფს ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების უწყვეტ გაუმჯობესებას, ეფექტიანობასა და გამჭვირვალობას 22

თავი მეორე: SWOT ანალიზი 24

თავი მესამე: სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები 28

სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება, ბიუჯეტი და ბენეფიციარები 28
სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება 28
შესაძლო რისკები 29

ტერმინთა განმარტება

ADB – აზიის განვითარების ბანკი;
AIC – აკადემიური საინფორმაციო ცენტრი ლატვიაში;
ANACEC – განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო მოლდოვაში;
ANQA – ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი სომხეთში;
AQAS – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო გერმანიაში;
ASHE – უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სააგენტო ხორვატიაში;
CAF – ერთიანი შეფასების ჩარჩო;
CEENQA – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი;
Cognia - სერტიფიცირების ერთ-ერთი ყველაზე სანდო და აღიარებული სისტემა განათლების სფეროში;
DeSIRE - ერაზმუს+ პროექტი „რბილი უნარების განვითარება სომხეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21-ე საუკუნის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად";
DUGEOR - ერაზმუს+ პროექტი „საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება";
EAR - აღიარების ევროპული სივრცე;
ECTS – ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა;
EMBA – აღმასრულებელი ბიზნეს-ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
EMIS – სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
ENIC Network - ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი;
ENQA – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია;
EPDAD – მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და შეფასების სააგენტო თურქეთში;
EQAR – უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრი;
EQAVET – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი;
ESG – ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები;
ETF – ევროპის განათლების ფონდი;
ETHICS - ერაზმუს+ პროექტი „კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში";
EU – ევროპის კავშირი;
EUA – ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია;
EVBB – პროფესიული მომზადების ინსტიტუტების ევროპული ასოციაცია;
FIBBA - საერთაშორისო ბიზნეს-ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი გერმანიაში;
GEOREF - ერაზმუს+ პროექტი „საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების საშუალებით";
GIZ – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება;
HEI - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
HAKA – განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო ესტონეთში;

HEAL - ერაზმუს+ პროექტი ,,განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში";
HR – ადამიანური რესურსები;
INQAAHE – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი;
IPSAS – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები;
IT – ინფორმაციული ტექნოლოგიები;
Micro-GEAR - ერაზმუს+ პროექტი „მიკროკრედიტები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა";
NCEQE – სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
PDCA – დემინგის ციკლი: დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - გააუმჯობესე;
PROFFORMANCE+ - ერაზმუს+ პროექტი;
PRODIGE – ერაზმუს+ პროექტი „ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში";
QAA - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო დიდ ბრიტანეთში;
QUATRA - ერაზმუს+ პროგრამა "კვალიფიკაციების ჩარჩო ნდობის, გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნებისთვის - TPG A";
RPL – წინარე მიღებული განათლების აღიარება;
RURD - ერაზმუს+ პროგრამა „უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში";
SAR – თვითშეფასების ანგარიში;
SDG – მდგრადი განვითარების მიზნები;
SICI – ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორატების ასოციაცია;
SQUARE - ერაზმუს+ პროექტი „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში";
TAICEP - საერთაშორისო აკადემიური კვალიფიკაციების შემფასებელთა ასოციაცია;
TKTA – განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო აზერბაიჯანში;
UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა;
WFME – სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2026–2030 წლების სტრატეგია, რომელიც მომზადებულია მტკიცებულებებზე და კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მიდგომით. სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემულია 2026-2030 წლების ხედვა, ცენტრის ძირითადი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორებით. დოკუმენტში ასევე, შეჯამებულია 2021–2025 წლების სტრატეგიის შედეგები და წარმოდგენილია ძირითადი გამოწვევები, რაც საფუძვლად დაედო მიცემული სტრატეგიის შემუშავებას.

2021-2025 წლების სტრატეგია ფარავდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში შემავალ ყველა მიმართულებას, რომელიც ინტეგრირებული იყო შვიდ სტრატეგიულ მიზანსა და 30 ამოცანაში. სტრატეგიული გეგმის ხუთწლიან პერიოდში, ცენტრი ამზადებდა ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებს, რომლებიც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების აქტიური ჩართულობით მუშავდებოდა. თითოეული აქტივობა ვადის დასრულების შემდეგ ფასდებოდა ცენტრის მონიტორინგის ელექტრონული პორტალის (www.monitoring.eqe.ge) მეშვეობით, მზადდებოდა სხვადასხვა სახის პროგრესის ანგარიში და ცენტრის საქმიანობის წლიური ანგარიშები.

მოცემული სტრატეგიის მიზნები შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs), ESG სტანდარტებს, ბოლონიის პროცესს და სხვა შესაბამის საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებს. წინამდებარე სტრატეგია შემუშავებულია ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, სადაც წარმოდგენილი იყო ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. სტრატეგიის შემუშავებას კოორდინაციას უწევდა ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. სტრატეგია განსახილველად წარედგინა ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ცენტრის აკრედიტაციის, ავტორიზაციის და სააპელაციო საბჭოებს, ექსპერტებს, შესაბამის სამინისტროების წარმომადგენლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, დონორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეს.

მოცემულ სტრატეგიაში გამოყენებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული, ანალიტიკური და კვლევითი დოკუმენტი, მათ შორის:

- ✓ ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების შუალედური შეფასება;
- ✓ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (შემდგომში - ENQA) და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (შემდგომში - EQAR) რეკომენდაციები;
- ✓ ცენტრის თვითშეფასების ანგარიში (SAR) ENQA-ს გარე შეფასებისთვის;
- ✓ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმები;
- ✓ ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის დოკუმენტი);
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030;
- ✓ ცენტრის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- ✓ ცენტრის სხვადასხვა თემატური ანალიზი;
- ✓ ერთიანი შეფასების ჩარჩოს (CAF) თვითშეფასების ანგარიში და გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეები.

თავი პირველი: ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ძირითადი შედეგები და გამოწვევები

ცენტრის ხედვა 2030:

ცენტრი წარმოადგენს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების ჰარმონიზაციით, ქვეყნის ამოცანებიდან გამომდინარე, განათლების ყველა საფეხურზე უზრუნველყოფს განათლების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას, განათლების აღიარებას და უმაღლესი განათლების მიმართულებით ეროვნული კვალიფიკაციების განვითარებას

სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და შესაბამისი ინდიკატორები 2030 წლისთვის

სტრატეგიის ლოგიკურ ჩარჩოში წარმოდგენილია 4 სტრატეგიული მიზანი და 15 ამოცანა შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორებით. მიზნის და ამოცანის ინდიკატორები მოცემულია 2030 წლისთვის.

სტრატეგიული მიზანი №1: ცენტრის ორგანიზაციული განვითარება/დამოუკიდებლობა

სტრატეგიის მიზნის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:
SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები.

სტრატეგიული მიზნის ინდიკატორი 1: ა) ცენტრის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის ზრდა; ბ) ცენტრის ფინანსური დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რომელიც გამოიხატება ცენტრის საკუთარი შემოსავლების პროცენტულ მაჩვენებელში (არანაკლებ 51%).

ამოცანა 1.1: ცენტრის თანამშრომლების მუდმივი განვითარება და მათი კმაყოფილების ზრდა.
ამოცანის ინდიკატორი 1.1: ცენტრის თანამშრომელთა კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს სულ მცირე **75%-ს.**

ძირითადი შედეგები
ცენტრს გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, მოქმედებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა.
ძირითადი გამოწვევები
თანამშრომელთა გადინების მაღალი მაჩვენებელი ცენტრის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევებზე დაყრდნობით, ცენტრიდან წასვლის მიზეზი შესაძლებელია იყოს სამუშაო გარემო, ანაზღაურება, მოტივაციის ნაკლებობა, პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობა და სხვა. გამოწვევას წარმოადგენს პერსპექტიული კანდიდატების მოზიდვის, შერჩევისა და თანამშრომელთა შენარჩუნების ეფექტიანი პოლიტიკის შექმნა.
გასაუმჯობესებელია თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ობიექტური, შედეგზე ორიენტირებული და შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის ხელშემწყობი მექანიზმი.

ცენტრის ფუნქციების და დასაქმებულთა არსებული რაოდენობის გათვალისწინებით, გამოწვევას წარმოადგენს საოფისე ფართის (სამუშაო სივრცე) არასაკმარისი მოცულობა, ასევე შენობის საერთო სარგებლობის ფართების და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

ცენტრის შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, შეიქმნება და დაინერგება ცენტრის სტრატეგიასთან ინტეგრირებული ადამიანური რესურსების სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვის, შერჩევისა და შენარჩუნების ეფექტიანი მექანიზმები.

ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესების მიზნით, გააქტიურდება თანამშრომელთა ემოციურ, სოციალურ და პროფესიულ კეთილდღეობაზე ზრუნვა. გაუმჯობესდება ინკლუზიური სამუშაო პირობები.

გაუმჯობესდება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა. თანამშრომელთა პროფესიული ცოდნის და უნარების განვითარების მიზნით, განხორციელდება მათი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები ციფრული ცნობიერების, მონაცემთა ანალიზის, ხელოვნური ინტელექტის და სხვა მიმართულებით. დაინერგება ღირსეული ანაზღაურებისა და შედეგზე ორიენტირებული წახალისების სისტემა, რომელიც დაეფუძნება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების შედეგებს.

საჭიროებიდან გამომდინარე, დაიხვეწება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება.

ცენტრის შესაბამის აქტივობებში ყურადღება მიექცევა გარემოსდაცვით პროექტებს.

გაგრძელდება ფიზიკური და IT ინფრასტრუქტურის (მათ შორის შშმ პირებისთვის) განვითარება და დახვეწა.

ამოცანა 1.2: მტკიცებულებებზე და კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მიდგომის შესაბამისად, ინიციატივების მხარდაჭერა, მათ შორის ტექნოლოგიური მიმართულებით, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციულ განვითარებას.

ამოცანის ინდიკატორი 1.2: განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 5-ს, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციულ განვითარებას.

ძირითადი შედეგები

ცენტრში დანერგილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც დემინგის ციკლის PDCA (Plan-Do-Check-Act) ხარისხის მართვის მოდელს ეყრდნობა. აღწერილია ცენტრის ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე 60 ბიზნესპროცესი.

დანერგილია სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ქმედითი ინსტრუმენტები, ხოლო მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხორციელდება ცენტრის მიერ სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების შეფასება. აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან 2024 წლის ჩათვლით მნიშვნელოვნად - 52%-დან 83%-მდე გაიზარდა სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების სრულად შესრულების მაჩვენებელი;

ორგანიზაციული თვითშეფასების ჩასატარებლად დანერგილია ერთიანი შეფასების ჩარჩოს (CAF) მეთოდოლოგია.

ყოველწლიურად მიმდინარეობს სულ მცირე 5 სერვისის მიმართულებით სერვისების მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების კმაყოფილების ხარისხის შესწავლა/ანალიზი.

შემუშავებულია თემატური ანალიზის განხორციელების სტრუქტურირებული მექანიზმი. შემუშავებულია 10-მდე თემატური ანალიზი[1].

[1] ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://eqe.ge/ka/page/static/895/tematuri-analizebi

ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის კვლევასა და ანალიზს, ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებით.
საჯარო სექტორის IPSAS საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, დაინერგა ფინანსური აღრიცხვის ანგარიშგება. ამასთან, დაინერგა ცენტრის საჭიროებებზე მორგებული ელექტრონული სახელფასო პროგრამა.

ძირითადი გამოწვევები

მნიშვნელოვანია კოორდინაციის გაძლიერება სხვა უწყებებთან, მათ შორის EMIS-სთან[2] სანდო მონაცემების გაცვლის მექანიზმების დანერგვა და განვითარება.
მიუხედავად იმისა, რომ 2021-2025 წლების სტრატეგიულ ციკლში ცენტრმა დაიწყო მტკიცებულებებზე და კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიდგომების დანერგვა, იგი უფრო მეტად ინსტიტუციურად მდგრადი და სტრატეგიული უნდა გახდეს და მოიცვას გავლენების კვლევა და ანალიზი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მიზანშეწონილია წინასწარ შეფასდეს დაგეგმილი ცვლილების გავლენა განათლების ხარისხის ძირითად მაჩვენებლებზე/ინდიკატორებზე და შედეგებზე. ასევე, მნიშვნელოვანია უკვე განხორციელებული/დანერგილი რეფორმის შედეგების/გავლენის ანალიზი[3].
ცენტრში არსებული ბიზნეს პროცესების ეფექტურობა და ეფექტიანობა საჭიროებს გაზრდას, ბიუროკრატიული მექანიზმების შემცირების გზით. მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი გაკეთდეს შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომაზე და პროცესები გახდეს უფრო მეტად მოქნილი.
მიზანშეწონილია გადაიხედოს ექსპერტთა საქმიანობის შეფასების მექანიზმები და განათლების ოთხივე საფეხურზე ცენტრს გააჩნდეს ექსპერტთა შეფასების უნიფიცირებული მექანიზმი, რაც გააადვილებს მისი ადმინისტრირების პროცესს. ექსპერტების საქმიანობის გამოწვევას წარმოადგენს „მცირე ქვეყნის სინდრომის“ გათვალისწინებით ინტერესთა კონფლიქტებთან დაკავშირებული გარემოებები.
ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება პროცესების ავტომატიზებასთან ერთად, ზრდის მოთხოვნას ტექნოლოგიური უნარების განვითარებაზე.
ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებების კონტროლისა და მონიტორინგის ავტომატიზებული შიდა პლატფორმის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ზრდა.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

დაიხვეწება ცენტრის სტრატეგიის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები. განისაზღვრება სტრატეგიის შეფასების მეთოდოლოგია. ცენტრს დაგეგმილი აქვს საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) ეფექტური მომხმარებლის საერთაშორისო ხარისხის მართვის სერტიფიკატის მოპოვება. ცენტრი გააგრძელებს ბიზნესპროცესების მუდმივ გადახედვასა და ოპტიმიზაციას. დაინერგება რისკის მართვის სისტემა. დაიხვეწება მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტები და გაიზრდება კვლევის ეფექტურობა.
განხორციელდება სხვადასხვა თემატური ანალიზი, შემუშავდება მეთოდოლოგიური დოკუმენტები, ჩატარდება წინარე და შემდგომი შეფასება/ანალიზი. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, გაუმჯობესდება ცენტრში მონაცემთა მართვის მექანიზმები.
ადამიანური რესურსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დაგეგმილია ხელოვნური ინტელექტის მექანიზმების გამოყენება. ასევე, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებში ხელოვნური ინტელექტის საკითხების ინტეგრირების შესაძლებლობის განხილვა.

[2] ცენტრის სტრატეგიის შუალედური (2021-2023 წლები) შეფასება, 2024
[3] ცენტრის სტრატეგიის შუალედური (2021-2023 წლები) შეფასება, 2024

შემუშავდება და დაინერგება ცენტრის შიდა კოორდინაციისა და კომუნიკაციის ქმედითი მექანიზმები.
შემუშავდება, დაინერგება და განვითარდება ცენტრში მოქმედი ექსპერტთა კორპუსის საქმიანობის შეფასების უნიფიცირებული მექანიზმები განათლების ყველა საფეხურზე.
განხორციელდება მატერიალური სახით დამტკიცებული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კონსოლიდაცია და გაციფრულება.
დაიხვეწება საქმისწარმოების პროცესები და სრულად გაციფრულდება ცენტრის არქივში დაცული მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტაცია.
სრულად დაინერგება შრომის უსაფრთხოების სისტემა.
ცენტრს ექნება სრულად ოპერაციული, სერტიფიცირებული და მდგრადი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, რომელიც ადაპტირებულია ტექნოლოგიურ და საკანონმდებლო ცვლილებებთან.

ამოცანა 1.3: ეროვნულ დონეზე ცენტრს გააჩნია მაღალი ცნობადობა და უზრუნველყოფილია ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობა.
ამოცანის ინდიკატორი 1.3: ა) ცენტრის მიერ, ეროვნულ დონეზე განხორციელებული კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 5-ს. ბ) არანაკლებ 2-ით გაზრდილია ცენტრის მიერ საზოგადოების ინფორმირებისა და გამჭვირვალობის მექანიზმები.

ძირითადი შედეგები
ცენტრი, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეგულარულად აქვეყნებდა საქმიანობის ანგარიშებს. დაინერგა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობის და მათგან უკუკავშირის მიღების სხვადასხვა მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ცენტრი იღებს გადაწყვეტილებებს.
დაინერგა სხვადასხვა კომუნიკაციის ინსტრუმენტი, მათ შორის, სტუდენტებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან, ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
ძირითადი გამოწვევები
ცენტრის მნიშვნელობის და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ საზოგადოებაში სწორი და ამომწურავი ინფორმაციის ნაკლებობა.
ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები
ეროვნულ დონეზე ჩატარდება კონფერენციები, სემინარები და სხვა თემატური ღონისძიებები. ასევე, ჩატარდება შეხვედრების ციკლი სტუდენტებთან, და მოსწავლეებთან აგრეთვე, სემინარები სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის. ყურადღება მიექცევა სოციალურ პროექტებს. გაღრმავდება თანამშრომლობა კერძო და საჯარო სექტორთან, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ამაღლებას.
გაგრძელდება მონაცემთა რეგულარული განახლება, მათი საჯაროდ და სტრატეგიული მიდგომით გამოქვეყნება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად. განვითარდება ცენტრის ვებგვერდი და კომუნიკაციის ციფრული წყაროები ისე, რომ ინფორმაცია გახდეს უფრო ადვილად აღსაქმელი და ფუნქციური სხვადასხვა მომხმარებლისათვის.
ცენტრის როლისა და განათლების ხარისხის გავლენის თაობაზე გამჭვირვალობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გასაუმჯობესებლად შემუშავდება ყოვლისმომცველი კომუნიკაციისა და ურთიერთობის სტრატეგია, გამარტივდება შეტყობინებები/გზავნილები და

მონაცემთა ბაზის ანალიზს დაერთვება ვიზუალიზაცია პირდაპირი ბენეფიციარებისთვის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, ასევე, ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის მშობლებისა და კომპანიებისთვის/ორგანიზაციებისთვის[4].

ამოცანა 1.4: ცენტრის ორგანიზაციული დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალთა ბალანსით, გამართული, ქმედითი შიდა პროცედურებითა და დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით.
ამოცანის ინდიკატორი 1.4: ცენტრის გარე შეფასებების საფუძველზე, გაზრდილია ცენტრის დამოუკიდებლობის ხარისხი, კერძოდ, „ESG 3.3 - დამოუკიდებლობა“ სტანდარტთან დაკავშირებით.

ძირითადი შედეგები
ENQA-ს და EQAR-ის რეკომენდაციების საპასუხოდ და „ESG 3.3 - დამოუკიდებლობა“ სტანდარტისა და სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინებით, გაიზარდა ცენტრის დამოუკიდებლობის ხარისხი, კერძოდ, ცენტრის საკოორდინაციო საბჭო მრჩეველთა ორგანოდან ჩამოყალიბდა ცენტრის კოლეგიურ (მმართველობითი) ორგანოდ. ამასთან, ENQA-ს და EQAR-ის რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და ცენტრის ოპერაციული, ორგანიზაციული და ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, შემუშავდა სხვადასხვა ტიპის მექანიზმი.
რესურსების რაციონალური დაგეგმვისა და გამოყენებისთვის, ასევე ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდისთვის ცენტრმა ეტაპობრივად შეამცირა სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულება და სტაბილურად გაზარდა საკუთარი შემოსავლების წილი. კერძოდ, 2022-2024 წლებში, ცენტრის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების წილი სტაბილურად დაახლოებით 63%-დან 69%-ის ჩათვლით მერყეობდა.
ძირითადი გამოწვევები
მნიშვნელოვანია ინფლაციისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, პერიოდულად გადაიხედოს ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების საფასურები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ცენტრის საკუთარი შემოსავლების კიდევ უფრო მეტი ზრდა და შესაბამისად, ფინანსური დამოუკიდებლობისა და მდგრადობის შენარჩუნება და განვითარება.
ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები
გაიზრდება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილება, მისი მონაწილეობა ცენტრის დირექტორის, ავტორიზაციის, აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების შერჩევის პროცესებში.
ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მიერ პროაქტიულად იქნება წარმოდგენილი ხედვები და ინიციატივები, რაც უკავშირდება ცენტრის ორგანიზაციულ განვითარებას და დამოუკიდებლობის ზრდას. ასევე, ცენტრის დირექტორის, დირექტორის მოადგილეების, შესაბამისი სამსახურების და დირექტორს დაქვემდებარებული პირების მიერ საკოორდინაციო საბჭოზე წარდგენილი იქნება მეტი ინიციატივა და განვითარებისკენ მიმართული ხედვა.

სტრატეგიული მიზანი №2: განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობით, თანამედროვე მიდგომების და ინსტრუმენტების დანერგვა, განათლების ხარისხის ზრდის და განათლების აღიარების მიზნით

სტრატეგიის მიზნის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:
SDG 4 - ხარისხიანი განათლება;

[4] ცენტრის სტრატეგიის შუალედური (2021-2023 წლები) შეფასება, 2024

SDG 17 - პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.

მიზნის ინდიკატორი 2: განათლების ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე, განათლების ხარისხის ზრდის და განათლების აღიარების მიზნით, შემუშავებულია და განვითარებულია არანაკლებ 3 თანამედროვე მიდგომა/მექანიზმი.

ამოცანა 2.1: განათლების მიმართულებით არსებული საერთაშორისო ასოციაციებისა და ქსელების წევრობის შენარჩუნება (ENQA, EQAR და WFME) და გაფართოება.
ამოცანის ინდიკატორი 2.1: არანაკლებ 5-ით გაზრდილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და განათლების აღიარების მიმართულებით მოქმედი საერთაშორისო ასოციაციების/ქსელების წევრობა და/ან გაფორმებულია მემორანდუმები შესაბამის სააგენტოებთან და შენარჩუნებულია სრული წევრობა ENQA-ში, WFME-ის მიერ ცენტრის აღიარება და აღდგენილია EQAR-ში რეგისტრაცია.

ძირითადი შედეგები
ცენტრი არის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი (INQAAHE); პროფესიული მომზადების ინსტიტუტების ევროპული ასოციაცია (EVBB); ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორატების ასოციაცია (SICI).
ცენტრი ინარჩუნებს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ასოციაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობას, მათ შორის, ENQA, WFME, EUA, CEENQA, ENIC Network, TAICEP, ETF, SICI. ამასთან, აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სემინარებში, კონფერენციებში, პროექტებში და სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების გაზიარების გარდა, ცენტრის ცნობადობის ამაღლებისთვის წარადგენდა თემატურ საკითხებს.
ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრმა თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სააგენტოსთან: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (AQAS, გერმანია); უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA, დიდი ბრიტანეთი); ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო განათლების მიმართულებით (HAKA, ესტონეთი); აკადემიური საინფორმაციო ცენტრი (AIC, ლატვია); საერთაშორისო ბიზნეს-ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი (FIBBA, გერმანია); განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო (ANACEC, მოლდოვა); ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი (ANQA, სომხეთი); უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სააგენტო (ASHE, ხორვატია); განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (TKTA, აზერბაიჯანი); მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და შეფასების სააგენტო (EPDAD, თურქეთი).
ცენტრსა და Cambridge International Education-ს შორის გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, Cambridge-ის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის Cambridge Pathway-ის საქართველოში აღიარების შესახებ. ცენტრსა და Cognia-ს შორის დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, საქართველოში აღიარეს საზღვარგარეთ აღიარებული Cognia-ს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (American International Accreditation Protocol).
ძირითადი გამოწვევები
ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ცენტრისთვის გამოწვევას წარმოადგენს ცენტრის ENQA-ში სრული წევრობის და EQAR-ში რეგისტრაციის განახლება, რაც დაკავშირებულია ცენტრის ESG სტანდარტ 3.3 - დამოუკიდებლობაში ცენტრის გარე შეფასების შედეგად

განსაზღვრული შეფასებით - შეუსაბამო (non-compliance) . შედეგად, ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს „ESG 3.3 - დამოუკიდებლობა“ სტანდარტისა და სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის არასაკმარისი მაჩვენებელი.

ცენტრმა უფრო მეტად უნდა გამოიყენოს ევროპული ხარისხის სააგენტოებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები და დაგეგმოს შესაბამისი თანამშრომლობითი პროექტები, რაც უფრო გაზრდის ცენტრის საერთაშორისო ცნობადობას, აამაღლებს თანამშრომელთა ცოდნასა და გამოცდილებას, გააძლიერებს ორგანიზაციულ განვითარებას და ქვეყნის განათლების ხარისხის სისტემას. ცენტრმა შემდგომი ნაბიჯები უნდა გადადგას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ასოციაციასთან და სხვა ქვეყნების ეროვნულ საინფორმაციო ცენტრებთან თანამშრომლობის მიმართულებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ, როგორც განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე, დიპლომის აღიარების მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერებას.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

ცენტრი შეინარჩუნებს სრულ წევრობას ENQA-ში, აღიარებას WFME-ის მიერ და აღადგენს EQAR-ში რეგისტრაციას. ცენტრი აქტიურად დაამყარებს სტრატეგიულ კავშირებს რელევანტურ საერთაშორისო ასოციაციებთან/ქსელებთან და შესაბამის სააგენტოებთან და ორგანიზაციებთან. ასევე, გაღრმავდება სხვა ქვეყნების ეროვნულ საინფორმაციო ცენტრებთან თანამშრომლობა.

ამოცანა 2.2: ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფებში, ერაზმუს+ პროგრამებში და განათლების მიმართულებით სხვა არსებულ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ ან/და მხარდაჭერილ პროექტებში ცენტრის აქტიური მონაწილეობით დანერგილი მექანიზმები/განხორციელებული ინიციატივები და აქტივობები.

ამოცანის ინდიკატორი 2.2: არანაკლებ 3-ით გაზრდილია ბოლონიის პროცესში არსებული სამუშაო ჯგუფებში, ერაზმუს+ პროგრამებში და სხვა განათლების მიმართულებით არსებულ საერთაშორისო პროექტებში ცენტრის აქტიური მონაწილეობით და საერთაშორისო ვალდებულებებით დანერგილი მექანიზმები/განხორციელებული ინიციატივები და აქტივობები.

ძირითადი შედეგები

ცენტრი, როგორც კოორდინატორი და ასოცირებული პარტნიორი აქტიურად იყო ჩართული ერაზმუს+-ის სხვადასხვა პროგრამაში, მათ შორის QUATRA, DUGEOR, DeSIRE, GEOREF, SQUARE, RURD, Micro-GEAR, PROFFORMANCE +, ETHICS, HEAL, PRODIGE[5] .ცენტრი, წევრის სტატუსით, აქტიურად მონაწილეობდა ბოლონიის პროცესის ექვს თემატურ სამუშაო ჯგუფში: კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების, ლისაბონის აღიარების კონვენციის, ხარისხის უზრუნველყოფის, სწავლა/სწავლების, სოციალური განზომილებისა და ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტთა მობილობის სამუშაო ჯგუფებში. აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფში საქართველო წარმოდგენილი იყო როგორც თანათავმჯდომარე ქვეყანა (საქართველო ზედიზედ ორჯერ არჩეულ იქნა თანათავმჯდომარე ქვეყნად).

ბოლონიის პროცესის ფარგლებში: ეროვნულ დონეზე მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარების მიმართულებით დაიწყო და გრძელდება სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის, თემატური მოკვლევა, ცნობიერების ამაღლება, საკანონმდებლო ინიციატივები და სხვა.

ძირითადი გამოწვევები

[5] ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://eqe.ge/ka/page/parent/953/vistan-vtanamshromlobt

მიმდინარე ეტაპზე გამოწვევას წარმოადგენს, ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისთვის საერთაშორისო დონორების ნაკლები ჩართულობა ძირითად და მხარდამჭერ პროცესებში. საერთაშორისო გრანტებით დაფინანსებული პროექტები უმეტესწილად მოკლევადიანია, რაც მათი შედეგების გრძელვადიან მდგრადობას ართულებს.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

ბოლონიის პროცესში, ერაზმუს+ პროგრამებში, ევროკომისიის სამუშაო ჯგუფებში და სხვა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ/მხარდაჭერილ პროექტებში გაგრძელდება ცენტრის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობა.

მოხდება ცენტრის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების მექანიზმების დახვეწა და საჭიროების შემთხვევაში კოორდინაციის უზრუნველყოფა. ასევე, სხვა ქვეყნების ეროვნულ საინფორმაციო ცენტრებთან თანამშრომლობა, განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდა.

ავტომატური აღიარების პროცესის (ბუქარესტის კომუნიკე; რომის მინისტერიალის კომუნიკე) დანერგვის მიზნით, სხვადასხვა მექანიზმების განხილვა და შესაბამისი ინიციატივების მომზადება.

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების განათლების აღიარების სისტემა განვითარდება და გაუმჯობესდება.

საქართველოს საერთაშორისო საგანმანათლებლო ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემუშავდება და დაინერგება წინარე მიღებული განათლების - Recognition of Prior Learning (RPL) აღიარების ყოვლისმომცველი სისტემა.

გაიმიჯნება სასწავლო და სამუშაო მიზნებით უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცესი. კერძოდ, სწავლის გაგრძელების და დასაქმების მიზნებით უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცესის დიფერენციაციის მიზნით, საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება და ინიცირება ლისაბონის აღიარების კონვენციისა და მისი ქვე-დოკუმენტების, ასევე EAR Manual Third Edition-ისა და EAR HEI Manual შესაბამისად.

გაძლიერდება საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი აღიარების პროცესში.

ამოცანა 2.3: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ჰარმონიზაცია უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

ამოცანის ინდიკატორი 2.3: განხორციელებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება და თვითსერტიფიცირება. ეროვნულ დონეზე განხორციელებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგი. შემუშავებულია კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე განათლების ქვესისტემების კვალიფიკაციების გამჭვირვალობას და სანდოობას.

ძირითადი შედეგები

განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგი. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია მონიტორინგის შესაბამისი ანგარიშები და რეკომენდაციები.

ცენტრში ინერგება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თავსებადობის უზრუნველსაყოფის მექანიზმები, მათ შორის შემუშავდა კვალიფიკაციების ჩარჩოს ელექტრონული პორტალისა და კვალიფიკაციების რეესტრის კონცეფცია, მომზადდა საქართველოს კვალიფიკაციების ელექტრონული

რეესტრის ტექნიკური მახასიათებლები, განახლდა ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზის დოკუმენტი, რომელშიც აისახა 2021 წლიდან სისტემაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები. განახლდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო.

ძირითადი გამოწვევები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპულ მეტაჩარჩოებთან შესაბამისობის დადგენა, კლასტერული აკრედიტაციის გეგმის მიხედვით, დეტალური სწავლის სფეროების ანალიზი და დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება კომპლექსური პროცესია და მოითხოვს ექსპერტების ჩართულობას და დიდ კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

განხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება და თვითსერტიფიცირება, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანამ მიიღოს ეროვნულ დონეზე არსებული ჩარჩოს შესაბამისობის დასტური ევროპის მეტა ჩარჩოებთან. აღნიშნული რეგულირდება "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQFLLL)" შესახებ ევროსაბჭოს 2017 წლის 24 მაისის რეკომენდაციის განსაზღვრული რეფერენსირების 10 კრიტერიუმის შესაბამისად და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებაა.

განხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგი ეროვნულ დონეზე, რაც უზრუნველყოფს ჩარჩოს განვითარების ხელშეწყობას.

შემუშავდება კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრი, რომელიც ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს განათლების ქვესისტემების კვალიფიკაციების გამჭვირვალობას და სანდოობას. 2026 წელს რეფერენსირების და თვითსერთიფიცირების პროცესის ანგარიშის დოკუმენტი მომზადდება და წარედგინება ევროკომისიას. ამასთან, კვალიფიკაციების ეროვნული რეესტრის შექმნის ვალდებულება რეგულირდება ევროსაბჭოს 2017 წლის 24 მაისის რეკომენდაციით.

ამოცანა 2.4: ცენტრი უზრუნველყოფს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დაახლოებას „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის“ და „განათლებისა და ტრენინგის სფეროების და დეტალური აღწერის“ დოკუმენტებთან.

ამოცანის ინდიკატორი 2.4: ეროვნულ დონეზე განხორციელებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგი. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება/განახლება გაზრდილია არანაკლებ 25-ით.

ძირითადი შედეგები

2021-2025 წლებში შემუშავდა 56 დარგობრივი მახასიათებელი, განახლდა 13 დარგობრივი დოკუმენტი.

ძირითადი გამოწვევები

კვალიფიკაციების განვითარების მიმართულებით, მიკროკრედიტების სისტემის პოპულარიზაციისა და დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებისთვის საჭიროა დამატებითი საკომუნიკაციო კამპანიები და დაინტერესებულ მხარეებთან მეტი თანამშრომლობა. ამასთან, მნიშვნელოვანია მიკროკრედიტების დანერგვის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, რომელიც მოითხოვს შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინაციას. ასევე, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სისტემის მზაობა, კერძოდ, მიკროკრედიტების ინტეგრაცია უმაღლესი განათლების სისტემაში შესაძლოა მოითხოვდეს სხვადასხვა სახის ცვლილებას.

ევროდირექტივის (2005/36/EC) შესაბამისად განსაზღვრულ პროფესიების ნაწილში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების არარსებობა.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

გაგრძელდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება/განახლება.

ცენტრი ეროვნულ დონეზე განახორციელებს სწავლის სფეროების მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს კლასიფიკატორის განვითარების ხელშეწყობას.

დარგობრივი მახასიათებლების დანერგვის პროცესში გაფართოვდება ცენტრის ჩართულობა. ასევე, აღნიშნული მიმართულებით, დაგეგმილია საერთაშორისო ექსპერტების ჩართვის შესაძლებლობის განხილვა.

მიმდინარეობს ფარმაციის და არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებლებზე მუშაობა, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოხსენებული ევროდირექტივის მოთხოვნები, ხოლო სტომატოლოგიაში შემუშავებული დარგობრივი მახასიათებელი სრულად ფარავს ევროდირექტივის შინაარსობრივ თავისებურებებს.

ამოცანა 2.5: ცენტრს საერთაშორისო დონეზე გააჩნია მაღალი ცნობადობა.

ამოცანის ინდიკატორი 2.5: საერთაშორისო დონეზე განხორციელებული კონფერენციების, სემინარებისა და სხვა საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 5-ს.

ძირითადი შედეგები

ცენტრმა უმასპინძლა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA), ევროპის განათლების ფონდის (ETF) ყოველწლიურ ფორუმებს და ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორატების ასოციაციის (SICI) სემინარს.

ცენტრი ყოველწლიურად მართავს საერთაშორისო კონფერენციას, სადაც განიხილება უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი და ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების მნიშვნელოვანი საკითხები - მიღწევები და გამოწვევები.

ძირითადი გამოწვევები

ცენტრის აქტიური მონაწილეობა და ეფექტური წარდგენა საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებზე საგრძნობლად აამაღლებდა ცენტრის ცნობადობას.

მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციის დამყარება და თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო პარტნიორებთან. გამოწვევას წარმოადგენს ინფორმაციის სისტემური და დროული გავრცელება და სხვადასხვა ეფექტური არხების გამოყენება და სისტემური მიდგომა.

საერთაშორისო განათლების სფეროში ცენტრის როლის გაძლიერება და ცენტრის წარმატებული გამოცდილების ეფექტურად გაზიარება.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

ცენტრი სტრატეგიულად დაგეგმავს და წარმატებით უმასპინძლებს საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, გენერალურ ასამბლეასა და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებს. ასევე, ცენტრი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში.

ცენტრი განავითარებს საერთაშორისო პარტნიორებთან სტრატეგიულ კომუნიკაციას და თანამშრომლობას. საერთაშორისო არხებით ხელი შეეწყობა ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მრავალენოვან და სისტემურ გავრცელებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ცენტრის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას და საერთაშორისო განათლების სფეროში მისი როლის გაძლიერებას.

სტრატეგიულის მიზანი №3: განათლების ყველა საფეხურზე, განათლების ხარისხის კულტურის მუდმივი განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიის მიზნის კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან:
SDG 4 - ხარისხიანი განათლება.

სტრატეგიული მიზნის ინდიკატორი 3: ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, დანერგილია და ინტეგრირებულია განათლების ხარისხის სტანდარტებში არანაკლებ 2 ახალი მექანიზმი.

ამოცანა 3.1: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა.
ამოცანის ინდიკატორი 3.1: ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ავტორიზებულია არანაკლებ 500 საჯარო და არანაკლებ 50 კერძო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება.

ძირითადი შედეგები
2022 წელს, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესიის კოორდინირება.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით პირველად შეიქმნა და ჩამოყალიბდა ავტორიზაციის საბჭო და ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი.
შეიქმნა თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმა Kg.eqe.ge და განხორციელდა 2,047 ბაღის თვითშეფასება და ბაღების თვითშეფასების ანალიზი. აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა და დამტკიცდა 2025-2029 წლების ავტორიზაციის გეგმა.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მხარდასაჭერად მომზადდა 14 მეთოდოლოგიური დოკუმენტი. ავტორიზაციის პროცესში ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, მუნიციპალიტეტებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებს ავტორიზაციისა და თვითშეფასების საკითხებთან დაკავშირებით ჩაუტარდათ ტრენინგები.
კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ სკოლამდელი განათლების პროგრამის დამატების შესაძლებლობა.
ძირითადი გამოწვევები
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების რეფორმა შემჭიდროვებულ ვადების (8 წელი) გამო, ცენტრს ექსპერტებისთვის და ბაღებისთვის მოუწია დიდი მოცულობის ინფორმაციის გაზიარება, რაც მთელ რიგ შემთხვევაში არ იყო მიზნობრივი აუდიტორიის მიერ ბოლომდე ათვისებული.
2023 წლიდან სისტემაში შეინიშნებოდა სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლების (გაერთიანების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები) ხშირი ცვლილება.
ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები
განვითარდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და გაძლიერდება მასში ჩართული პირების შესაძლებლობები (საბჭოს წევრები, ექსპერტები, დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები). განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების სერტიფიცირება.

ამოცანა 3.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფა.

ამოცანის ინდიკატორი 3.2: ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ავტორიზებულია არანაკლებ 1,000 საჯარო და არანაკლებ 100 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

ძირითადი შედეგები

განხორციელდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების სისტემის გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას. რეფორმის ფარგლებში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში შევიდა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებდა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და ავტორიზაციის განახლებულ საფასურებს.

რეფორმის ფარგლებში, პირველად დაიწყო საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაციის პროცესი. ჯამში, 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით ავტორიზაცია გაიარა 500-მა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართულებით არაერთი ღონისძიება.

ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული მექანიზმების დანერგვის პროცესში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ავტორიზაციის პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერება.

განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის ფორმირება და სერტიფიცირება. ახალი რეგულაციების შესაბამისად, პირველად განხორციელდა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასებები, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების მიერ. ექსპერტთა კორპუსის წევრების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, დაინერგა ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების პრაქტიკა.

ძირითადი გამოწვევები

მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უწყვეტი გაუმჯობესება და გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ სისტემებზე დაყრდნობით. ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დანერგვის პროცესში არ არის გათვალისწინებული კულტურული და რეგიონული სპეციფიკები/კონტექსტები, კერძოდ, გამოწვევას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც სასწავლო პროცესს ეთნიკური უმცირესობების ენებზე ახორციელებენ.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სკოლების ავტორიზაცია თანმიმდევრულად მიმდინარეობს, არსებობს გარკვეული გამოწვევები, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულების დროულად შესრულება, რაც მოიაზრებს 2030-2031 სასწავლო წლამდე ყველა საჯარო სკოლის ავტორიზაციას ახალი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად.

ასევე, ხაზგასასმელია ცენტრსა და სხვადასხვა უწყებას შორის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესში კოორდინაციის ნაკლებობა, რამაც ეფექტური მართვა უნდა უზრუნველყოს.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ერთ-ერთ გამოწვევას, რომელიც ავტორიზაციის პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის მიერ სტანდარტებისა და მოთხოვნების ერთობლივ ინტერპრეტაციას, გაგებას და გამოყენებას უკავშირდება.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

ზოგადი განათლების მიმართულებით, გაგრძელდება დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება (საბჭოს წევრები, ექსპერტები, დაწესებულებები).

დაიხვეწება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები. განვითარდება საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
განხორციელდება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირება და საგნობრივი ექსპერტების ატესტაცია. ექსპერტთა საქმიანობის შეფასების საფუძველზე, მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, დაიგეგმება განმავითარებელი ღონისძიებები.

ამოცანა 3.3: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების ხარისხის უზრუნველყოფა.
ამოცანის ინდიკატორი 3.3: ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ავტორიზებულია არანაკლებ 80 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს არანაკლებ 30 იურიდიულ პირს.

ძირითადი მიღწევები
ავტორიზაცია მოიპოვა 148 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებამ (მათ შორის, 88-მა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, ხუთმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ და 55-მა კოლეჯმა).
გაძლიერდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების შესაძლებლობები.
ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, გაძლიერდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოების შესაძლებლობები.
გაძლიერდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა კორპუსის წევრების (ხარისხის და დარგის ექსპერტები) შესაძლებლობები.
შეიქმნა არაფორმალური განათლების აღიარებისა და ერთობლივი და გაცვლითი პროფესიული პროგრამების განხორციელების სამართლებრივი ჩარჩო/მექანიზმები.
შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების სამართლებრივი ჩარჩო/მექანიზმები.
განხორციელდა პროფესიული განათლების სისტემის საპილოტე შეფასება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) 7 ინდიკატორის მიხედვით.
ძირითადი გამოწვევები
მნიშვნელოვანია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუდმივი განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ გამოცდილებასა და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. პროცესების სრულფასოვნად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბების მხარდაჭერა.

გამოწვევას წარმოადგენს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში არსებული სტანდარტების ერთნაირად აღქმა დაწესებულებების, ექსპერტებისა და საბჭოს დონეზე.
ასევე, გამოწვევას წარმოადგენს დარგის ექსპერტების როლის გაძლიერება გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. გამოწვევაა ცენტრის ექსპერტთა კორპუსის მართვის ეფექტური სისტემის არარსებობა, მათ შორის ექსპერტთა კორპუსის საქმიანობის მართვა, ინტერესთა კონფლიქტების თავიდან არიდება და სხვა.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

განხორციელდება ეროვნული სტანდარტების ჰარმონიზაცია ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსთან (EQAVET), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვას. განხორციელდება ერთობლივი, გაცვლითი და მოკლე ციკლის პროგრამები და განვითარდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
დაგეგმილია პროფესიული განათლების ხარისხის მიმართულებებით საერთაშორისო ექსპერტების ჩართვის შესაძლებლობის განხილვა.
განხორციელდება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირება და დარგობრივი ექსპერტების ატესტაცია. ექსპერტთა საქმიანობის შეფასების საფუძველზე, მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებების შეთავაზება.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დაცვით გაგრძელდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობების ზრდა.
გაგრძელდება დაინტერესებული მხარეების (არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტები, საგანმანათლებლო დაწესებულებები/იურიდიული პირები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა კორპუსი, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭო, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო) შესაძლებლობების გაძლიერება.

ამოცანა 3.4: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

ამოცანის ინდიკატორი 3.4: ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ავტორიზებულია არანაკლებ 50 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და აკრედიტირებულია არანაკლებ 1,200 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

ძირითადი შედეგები

სისტემის დონეზე დაიხვეწა უმაღლესი განათლების ხარისხის კულტურა, ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებების შესაბამისად. სიახლეები ძირითადად უკავშირდებოდა უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სისტემასთან ჰარმონიზაციის მიზნით, კლასტერული აკრედიტაციის სისტემის დანერგვასა და განხორციელებას.
შემუშავდა კლასტერული აკრედიტაციის სამართლებრივი მექანიზმები, რომელმაც უზრუნველყო კლასტერული აკრედიტაციის შეფასების მოდელის დანერგვა. კერძოდ, შემუშავდა: აკრედიტაციის განახლებული პროცედურები და საფასურები, აკრედიტაციის სტანდარტები, კლასტერული აკრედიტაციის გავლის ეტაპები და ვადები და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფების წესი. აკრედიტაცია გახდა სავალდებულო ყველა სახისა

და საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად ჩაერთნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც არიან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეები.

განახლდა ექსპერტთა საქმიანობის წესი, რითაც უზრუნველყოფილია ექსპერტთა საქმიანობის თანმიმდევრულობა, განსაზღვრულია ეთიკური გადაცდომის საკითხები. ექსპერტთა კორპუსებს შეემატა 500-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტი.

კლასტერული შეფასება გაიარა და აკრედიტაცია მიენიჭა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 1,047 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამას, პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 62 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, ავტორიზაცია მიენიჭა 49 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

შემუშავდა და დამტკიცდა, სადოქტორო პროგრამების შეფასების ჩარჩო დოკუმენტი[6], რომელიც სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის ადგენს სპეციფიურ კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს.

ცენტრის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის შედეგად, უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ნაწილობრივ იქნება დაშვებული ელექტრონული სწავლება და ამ მიმართულებებით შემუშავდა სწავლის სფეროების ჩამონათვალი, რომელშიც ნაწილობრივ ან სრულად იქნება შესაძლებელია ელექტრონული სწავლების განხორციელება და კრედიტების განაწილების წესი და პირობები.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ შესაძლებლობა, შეიმუშაონ არანაკლებ 180 კრედიტიანი ბაკალავრიატის (ბიზნესისა და ადმინისტრირების და ხელოვნების სწავლის სფეროებში) და არანაკლებ 60 კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისთვის და არა მხოლოდ აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების EMBA პროგრამებისთვის.

რეგულარულად ხორციელდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდაზე ორიენტირებული სხვადასხვა მხარდამჭერი აქტივობა.

ძირითადი გამოწვევები

გამოწვევას წარმოადგენს ფორმალური ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობიდან ხარისხის კულტურის განვითარებისკენ ზრუნვა და დანერგვისთვის სათანადო განმავითარებელი გარემოს შექმნა. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტებმა თვითშეფასების ანგარიშები დააფუძნონ სანდო და ვალიდური მონაცემების ანალიზს და განვითარების საჭიროებების კვლევას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მუდმივად ვითარდებოდეს გლობალური და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის გამოწვევებთან კავშირში. აღსანიშნავია რამდენიმე მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მიზანშეწონილია განვითარება: უსდ-ს მიზნების შეფასება შესაძლებელია მოხდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირში; მიზანშეწონილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფუნქციური ინტეგრაცია

[6] ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://eqe.ge/ka/page/static/1102/sadoqtoro-safekhuris-ganatlebis-charcho-dokumenti

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ამ მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს უნივერსიტეტების კვლევითი პოტენციალის შეფასება; მნიშვნელოვანია პერსონალის აფილირების მექანიზმის განვითარება.

მიზანშეწონილია ავტორიზაციის სტანდარტებში „მესამე მისიის“ კონცეფციის განვითარება და შეფასების ინდიკატორების ინტეგრირება.

ამასთან მნიშვნელოვანია, ელექტრონული და ჰიბრიდული სწავლების ინოვაციური მოდელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება.

ციფრულ პლატფორმებსა და ხელოვნურ ინტელექტის მიმართულებით, სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა, მოითხოვს ახალ მიდგომებს ამ პლატფორმების მეშვეობით მიწოდებული განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სხვადასხვა პროცესის ეფექტურად განხორციელებას/გამარტივებას ხელოვნური ინტელექტის/ელექტრონული პლატფორმების საშუალებით და ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური საკითხების რეგულაციებს.

სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2022-2030 წლების სტრატეგიასთან კავშირში, რომელიც გულისხმობს ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე მაღალი ხარისხის სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების/სკოლების შექმნის წახალისებას/ამოქმედებას.

მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოწვევაა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კლინიკური სწავლების მიმართულებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია შეიქმნას ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს კლინიკური სწავლების ფარგლებში უნივერსიტეტების მომსახურების პირობებს და სტუდენტთა რაოდენობებს არსებული კლინიკების რესურსებთან კავშირში.

საერთაშორისო ექსპერტთა შერჩევის მიმართულებით გამოწვევაა შეფასების პროცესში ადგილობრივი კონტექსტის ღრმა ანალიზი (მათ შორის უმაღლესი განათლების ადგილობრივი კონტექსტი და კულტურული თავისებურებები).

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

შეიქმნება ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. შეიქმნება მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფა, აღიარება და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირება, ECTS-თან ადაპტირება. განვითარდება და დაინერგება ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

კლასტერული აკრედიტაციის ციკლის დასრულების შემდეგ, დაგეგმილია კლასტერული აკრედიტაციის პროცესის შეფასება და მოდიფიცირება. აღნიშნული პროცესი სისტემაში გაზრდის დაწესებულებების ანგარიშვალდებულებას და განავითარებს სისტემაში ხარისხის კულტურას. ასევე, აქცენტი გაკეთდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების დაახლოებაზე.

დაგეგმილია სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება/დახვეწა.

განხორციელდება განათლების ხარისხის კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის სხვადასხვა აქტივობა და გაგრძელდება დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ექსპერტთა კორპუსები, საბჭოები).

ჩატარდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების კმაყოფილების კვლევა სამედიცინო განათლების მიმართულებით.

სტრატეგიული მიზანი №4: მოქნილი, მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის და ციფრულად ხელმისაწვდომი სერვისების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რაც უზრუნველყოფს ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების უწყვეტ გაუმჯობესებას, ეფექტიანობასა და გამჭვირვალობას

სტრატეგიის მიზნის კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან:
SDG 4 - ხარისხიანი განათლება.

სტრატეგიული მიზნის ინდიკატორი 4: ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების „მომხმარებლის საერთო კმაყოფილების ინდექსი“ შეადგენს სულ მცირე 75%-ს.

ამოცანა 4.1: ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მოქნილი, პროცედურულად დახვეწილი და ხელმისაწვდომი სერვისების შეთავაზება გარე მომხმარებლისთვის, მათ შორის, ციფრული სერვისების შეთავაზება.
ამოცანის ინდიკატორი 4.1: ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, არანაკლებ 5 სერვისით გაზრდილია მოქნილი, პროცედურულად დახვეწილი და ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა ცენტრის გარე მომხმარებლებისთვის, მათ შორის, ციფრული სერვისების შეთავაზება.

ძირითადი შედეგები
გამარტივდა და დაინერგა საქართველოში მიღებული განათლების (ოკუპირებული და ლიცენზირებული) აღიარების პროცედურის დაჩქარებული სერვისი. აღიარების პროცედურის გასამარტივებლად და გასაუმჯობესებლად შეიქმნა სხვადასხვა სახელმძღვანელო დოკუმენტი.
გაციფრულდა ხელმოწერებისა და ბეჭდის 52,000 ნიმუში.
შემუშავდა უცხოეთში დისტანციური ფორმით მიღებული განათლების აღიარების პროცედურის კრიტერიუმები და განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები.
ძირითადი გამოწვევა:
მნიშვნელოვანია ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისებით მომხმარებლის კმაყოფილების გაუმჯობესება. ცენტრის სერვისების მომხმარებლის გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს ციფრული პლატფორმების განვითარებას - დიგიტალიზაციას, რაც გულისხმობს სერვისების მიწოდების დროის შემცირებას და მომხმარებლისგან უკუკავშირის სისტემატური მიღებას. მიზანშეწონილია, აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა მექანიზმის შემუშავება და დანერგვა[7].
ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები
იგეგმება ცენტრის სერვისების მომხმარებლებისთვის ციფრული სერვისების შეთავაზება და არსებულის გაუმჯობესება, ასევე, მსოფლიოში და საქართველოში არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და საჭიროების შესაბამისად, ახალი სერვისების შექმნა და მომხმარებლებისთვის შეთავაზება.
დაიხვეწება მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის მექანიზმები, მათი შედეგების ანალიზი და შეფასება.

ამოცანა 4.2: საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების ეფექტიანობისა და ეფექტურობის ზრდა.

[7] ცენტრის სტრატეგიის შუალედური (2021-2023 წლები) შეფასება, 2024

ამოცანის ინდიკატორი 4.2: განფასებულია, შექმნილია დიზაინი და კატალოგში შეტანილია ცენტრის მიერ მიწოდებული არანაკლებ 5 სერვისი.

ძირითადი შედეგები

დაინერგა აპოსტილით დამოწმებასა და ლეგალიზაციაზე დაჩქარებული მომსახურება, დიპლომის გაცემის დაჩქარებული სერვისი.

ცენტრის ვებგვერდზე ჩაშენდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ონლაინრეესტრი.

შემუშავდა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებისთვის სერვისების საფასურის საშეღავათო პოლიტიკის კონცეფცია.

განხორციელდა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ განათლების აღიარების მექანიზმების დახვეწა და მისი განვითარება.

ძირითადი გამოწვევები

ცენტრისთვის ელექტრონულად (ციფრულად) მომართვის შესაძლებლობა, გამოწვევად რჩება, ვინაიდან ბენეფიციარების დიდ ნაწილს წარმოადგენენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისად, მათთვის რთულია სერვისის მიღება. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, ცენტრების უმრავლესობა, აღნიშნულ სერვისს აწვდის დისტანციურად.

მნიშვნელოვანია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურაში, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობების დაიდენტიფიცირება და ცენტრში მისი დანერგვა.

ყურადღება უნდა მიექცეს აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაციის დაჩქარებული სერვისის მიწოდების პროცესის გაუმჯობესებული მექანიზმების შემუშავებას და მათ ეფექტურ დანერგვას.

ასევე, ევროპული სტრუქტურებისთვის უპირატესობა ენიჭება ავტომატური აღიარების მექანიზმების დანერგვას პარტნიორ ქვეყნებში, საქართველოში არ არსებობს აღნიშნული მექანიზმი, სამართლებრივი ჩარჩო და შესაბამისი რეგულაციები.

გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაძლიერება აღიარების პროცესში და სადაც შესაძლებელია მათთვის აღნიშნული ფუნქციის გადაცემა.

გამოწვევაა აპლიკანტებისა და თანამშრომლებისთვის ციფრული მუშაობის პროცესის გაუმჯობესება და ENIC Georgia-ს შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა.

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

დაგეგმილია ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების განფასების მექანიზმების/ინსტრუმენტების გაუმჯობესება. შემუშავდება სერვისების თვითღირებულების დაანგარიშების მეთოდოლოგია, გადაიხედება სერვისების დანახარჯები და თვითღირებულება. შედეგების საფუძველზე, განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

ცენტრის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად გადაიხედება ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების საფასურები. ამასთან, დაგეგმილია სერვისების დიზაინის კონცეფციის შექმნა, შეფასება და მისი კატალოგში შეტანა.

თავი მეორე: SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

ორგანიზაციული განვითარება:

- ✓ მტკიცებულებებზე და კვლევებზე დაფუძნებული პოლიტიკის/მექანიზმების არსებობა, რომელიც მოიცავს ცენტრის შიდა ხარისხის ორგანიზაციულ განვითარებას;
- ✓ მრავალწლიანი ინსტიტუციური გამოცდილება და მუდმივი სწრაფვა ორგანიზაციული განვითარებისკენ;
- ✓ ცენტრის ფინანსური შემოსავლების დივერსიფიცირებული წყაროები (ცენტრის საკუთარი და საბიუჯეტო შემოსავლები, მიზნობრივი გრანტები). ფინანსური დამოუკიდებლობის მაღალი მაჩვენებელი (2022-2024 წლებში, ცენტრის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების წილი სტაბილურად დაახლოებით 63%-დან 69%-ის ჩათვლით მერყეობდა);
- ✓ შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაღალი მაჩვენებელი (დაახლოებით 90%);
- ✓ ცენტრის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩოს გამართულობა;
- ✓ ღია და აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და მათი მაღალი ჩართულობის მაჩვენებელი;
- ✓ გაუმჯობესებულია ცენტრის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება დაინტერესებულ მხარეებთან.

ინტერნაციონალიზაცია:

- ✓ ცენტრის მუდმივი სწრაფვა ინტერნაციონალიზაციისკენ, რომელიც გამოიხატება განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო ასოციაციებისა და ქსელების წევრობით (მათ შორის WFME, INQAAHE, EUA, CEENQA, ENIC Network, TAICEP, ETF, EVBB, SICI და სხვა),
- ✓ ENQA-ს წევრი სხვადასხვა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობა, ბოლონიის სამუშაო ჯგუფებში და ერაზმუს+ პროგრამებში აქტიური მონაწილეობა;
- ✓ 2024 წელს, ENQA-ს ექსპერტების მიერ ჩატარებული გარე შეფასების შედეგად, ცენტრი შეფასდა საუკეთესო პრაქტიკით ESG-2015-ის 5 სტანდარტსა და სახელმძღვანელო პრინციპთან მიმართებით, კერძოდ: ESG 3.1; ESG 3.3; ESG 3.4; ESG 3.5 და ESG 2.2.[8]

ხარისხის უზრუნველყოფა:

- ✓ მუდმივად მიმდინარეობს განათლების ხარისხის მართვის რეგულაციების/პროცედურების განვითარება/დახვეწა, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის გამოცდილება;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასება მიმდინარეობს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საგნობრივი ექსპერტების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების არა მხოლოდ ინსტიტუციურ, არამედ საგნობრივ დონეზე დეტალურ შეფასებას და დაწესებულებებს აძლევთ მრავალფეროვანი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების შეფასების პროცესებში საერთაშორისო ექსპერტების, სტუდენტების, დამსაქმებლების ჩართულობა, რითაც ხელი შეეწყო სხვადასხვა პერსპექტივის მრავალფეროვნებას და საერთაშორისო თანამშრომლობისა და ცოდნის გაცვლის კულტურას.

[8] ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf

სუსტი მხარეები:

ორგანიზაციული განვითარება:

- ✓ „ESG 3.3 - დამოუკიდებლობა“ სტანდარტისა და სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინებით, ცენტრის დამოუკიდებლობის დაბალი მაჩვენებელი;
- ✓ ადამიანური რესურსების სტრატეგიული პოლიტიკის არაეფექტურობა;
- ✓ თანამშრომელთა შეფასების და წახალისების სისტემის არაეფექტიანობა. კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების სიმცირე; თანამშრომელთათვის დამატებითი ბენეფიტების არარსებობა (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის თანადაფინანსება ან სრულად დაფინანსება);
- ✓ ცენტრის არაკონკურენტული სახელფასო პოლიტიკა. ცენტრის თანამშრომლების მაღალი გადინება, რომელიც ცენტრის საქმიანობისთვის შემაფერხებელია, მათ შორის ორგანიზაციის ინსტიტუციური მეხსიერებისთვის;
- ✓ კვალიფიციური კადრების მოზიდვა;
- ✓ თანამშრომელთა დატვირთვის მაღალი მაჩვენებელი;
- ✓ ინკლუზიური სამუშაო პირობების ნაკლებობა, მათ შორის დისტანციური/ჰიბრიდული მუშაობის არათანაბარი შესაძლებლობა;
- ✓ ცენტრის ექსპერტთა კორპუსის მართვის არაეფექტური სისტემის არსებობა;
- ✓ ადმინისტრაციული წარმოებების კონტროლისა და მონიტორინგის ავტომატიზებული შიდა სისტემის არარსებობა;
- ✓ ლოკალურ საჭიროებებს მორგებული სხვადასხვა ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცენტრის პროცესების ავტომატიზაციასა და ეფექტურობას;
- ✓ არასაკმარისი საოფისე ფართის მოცულობა. საერთო სარგებლობის ფართზე და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შეზღუდულობა;
- ✓ შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული გარემოს არქონა, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე, სოციალური ქსელების მიმართულებით;
- ✓ ფინანსების ჭრილში პროგრამული უზრუნველყოფის ნაკლებობა, რომელიც უფრო ადვილს და ზუსტს გახდიდა ცენტრის მიერ გაწეული მომსახურეობებიდან შემოსული თანხების აღრიცხვას კატეგორიების მიხედვით და გაამარტივებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, მონაცემთა მართვის მექანიზმების სისუსტე, რომელიც მოიცავს მონაცემთა მიღებას, შენახვას და ანალიზის ქმედით მექანიზმებს, მათ შორის EMIS-დან;
- ✓ ცენტრის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობა.

შესაძლებლობები:

ორგანიზაციული განვითარება:

- ✓ საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტის მექანიზმების გამოყენება ცენტრის ორგანიზაციული განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფის, განათლების აღიარების პროცედურებში და ადამიანური რესურსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- ✓ დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა თანამშრომელთა, როგორც კვალიფიკაციის ამაღლებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, ასევე, ხარისხის მექანიზმების დახვეწის მიმართულებით;
- ✓ წინარე და შემდგომი შეფასების/ანალიზის დანერგვის შესაძლებლობა, რომელიც დაეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკებს;
- ✓ სამუშაო სივრცის (ფართის) გაფართოების შესაძლებლობა;

- ✓ შრომის უსაფრთხოების სისტემის სრული დანერგვა;
- ✓ სრულად ოპერაციული, სერტიფიცირებული და მდგრადი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც ადაპტირებულია ტექნოლოგიურ და საკანონმდებლო ცვლილებებთან;
- ✓ ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების საფასურების რეგულარული გადახედვა;
- ✓ ციფრული პლატფორმების განვითარების შესაძლებლობა[9];
- ✓ ცენტრში ბიზნესპროცესების რისკების შეფასების მექანიზმების სრული დანერგვა. ბიზნესპროცესების გადახედვა და მათი მოქნილობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის ზრდის შესაძლებლობა. შესაბამისად, ნაკლები ბიუროკრატიის შესაძლებლობა;
- ✓ ცენტრის სამსახურების მიერ სამართლებრივი საკითხების ინიცირებისას გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრა და უფრო მოქნილი პრაქტიკების/მექანიზმების დანერგვა;
- ✓ გარე კომუნიკაციის და გამჭვირვალობის მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწა/განვითარება;
- ✓ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

<u>ინტერნაციონალიზაცია:</u>

- ✓ განათლების ევროპულ სივრცეში ჰარმონიზების მიზნით, პროცედურებისა და ინსტრუმენტების დახვეწა;
- ✓ ENQA-ს მონიტორინგის პროცესის წარმატებით დასრულების და EQAR-ში რეგისტრაციის განახლების შესაძლებლობა;
- ✓ ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ხარისხის უზრუნველყოფისა და განათლების აღიარების მიმართულებით სხვადასხვა ასოციაციასთან და სააგენტოსთან, განსაკუთრებით ENQA-ს წევრ ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სააგენტოსთან;
- ✓ ევროკავშირისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა (EU, UNDP, World Bank, ADB, GIZ, JICA და სხვა).

<u>ხარისხის უზრუნველყოფა:</u>

- ✓ განათლების ოთხივე საფეხურზე, ყველა დაინტერესებული მხარისთვის (ექსპერტები, საბჭოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა) შესაძლებლობების გაძლიერების ქმედითი აქტივობების დაგეგმვა, იმპლემენტაცია და განვითარება, მათ შორის ტრენინგები, სემინარები, სახელმძღვანელო დოკუმენტები და სხვა;
- ✓ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების განვითარება/დახვეწა.
- ✓ პროფესიული განათლების ხარისხის მიმართულებებით საერთაშორისო ექსპერტების ჩართვის შესაძლებლობა;
- ✓ პროფესიული განათლების მიმართულებით, ერთობლივი და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი მექანიზმების შემუშავება და სრული დანერგვა;
- ✓ კლასტერული აკრედიტაციის სისტემის გადახედვა;
- ✓ უმაღლესი განათლების მიმართულებით, ონლაინ უნივერსიტეტის ხარისხის გარე მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
- ✓ უმაღლესი განათლების მიმართულებით, საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესების განხორციელება და ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის განვითარების პროცესების მხარდაჭერა;
- ✓ სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება/დახვეწა;

[9] ცენტრის სტრატეგიის შუალედური (2021-2023 წლები) შეფასება, 2024

- ✓ მიკროკრედიტების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა;
- ✓ მეტი თანამშრომლობა კერძო და საჯარო სექტორთან. ბიზნესთან და სამუშაო ბაზართან მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ამაღლებას.

საფრთხეები:

მაღალი რისკი:

- ✓ საკანონმდებლო, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ცენტრის საქმიანობაზე;
- ✓ განათლების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ხშირი ცვლილებები;
- ✓ საკანონმდებლო ჩარჩოს მუდმივი ცვლილება, კერძოდ, განათლების სტანდარტების ხშირი გადახედვა, რაც დაინტერესებულ მხარეებში გარკვეულ დაბნეულობას/გაურკვევლობას იწვევს;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების არასაკმარისი მზაობა შესაბამისობაში მოვიდნენ ახალ სტანდარტებთან, რომელიც ინიცირებულია ცენტრის მიერ.

საშუალო რისკი:

- ✓ ბიუროკრატიული საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს/დააყოვნოს დაგეგმილი აქტივობების შესრულება;
- ✓ საერთაშორისო ტექნიკური და ფინანსური დახმარებისა და თანამშრომლობის მკვეთრი შემცირება/შეწყვეტა;
- ✓ სხვადასხვა მიზნობრივ აქტივობაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნაკლებობა;
- ✓ ცენტრის მიერ ინიცირებული პროექტების დროში შეფერხება შესაბამისი გარე უწყებების მიერ, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხონ დაგეგმილი აქტივობების შესრულება;
- ✓ "მცირე ქვეყნის სინდრომი" და ინტერესთა კონფლიქტი, დაინტერესებული მხარეების მიკერძოებულობა, რომლებიც შეფასებების სრულყოფილებას უქმნის საფრთხეს[10].

[10] ცენტრის თვითშეფასების ანგარიში (SAR) ENQA-ს გარე შეფასებისთვის, 2023. ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://www.eqe.ge/res/NewFolder%2012/Self-Assesment%20Report%20for%20the%20ENQA%20Review_2023.pdf

თავი მესამე: სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები

სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება, ბიუჯეტი და ბენეფიციარები

სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებაა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. კერძოდ, სტრატეგია განხორციელდება ცენტრის შესაბამისი სამსახურებისა და დირექტორს დაქვემდებარებული პირების აქტიური ჩართულობით. ამასთან, სტრატეგიის განხორციელების პროცესში ცენტრი აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სამინისტროს დაქვემდებარებულ შესაბამის უწყებებთან, სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ცენტრის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება ცენტრის საკუთარი შემოსავლებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით და საერთაშორისო გრანტებით. 2026-2030 წლებისთვის, სტრატეგიის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენს არანაკლებ 80 მილიონ ლარს.

სტრატეგიის ძირითადი ბენეფიციარები არიან ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისების მომხმარებლები - იურიდიული და ფიზიკური პირები, მათ შორის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აღსაზრდელები, მოსწავლეები, პროფესიულის და უმაღლესის სტუდენტები.

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

ცენტრის სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, შედეგების გაზომვისა და გავლენის განსაზღვრის მთავარი მექანიზმია. სტრატეგიის თითოეულ მიზანს და ამოცანას გააჩნია საბაზისო, შუალედური და საბოლოო გაზომვადი ინდიკატორ(ებ)ი, რომელიც სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასებისას იქნება შედეგების გაზომვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი. ამასთან, სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის ინდიკატორს ექნება ინდიკატორის შესაბამისი პასპორტი, სადაც თითოეულ ინდიკატორზე განისაზღვრება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, მონაცემთა შეგროვების მეთოდი და სხვა რელევანტური ინფორმაცია.

მიზნის და ამოცანის ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებლებად 2025 წელი, შუალედურ მაჩვენებლად 2028 წელი, ხოლო საბოლოო მაჩვენებლად 2030 წელი განისაზღვრა. საბაზისო, შუალედური და საბოლოო მიზნის და ამოცანის ინდიკატორები დეტალურად წარმოდგენილია ინდიკატორების პასპორტებში.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელებას კოორდინაციას უწევს ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

2026-2030 წლების სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ცენტრში დანერგილი მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. კერძოდ, ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, ცენტრის სტრატეგიული მიზნებით, ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და რეკომენდაციების განსაზღვრის, შედეგების და მიღწევების დეტალური შესწავლისა და შესაძლო გავლენის დადგენის მიზნით. სტრატეგიის მონიტორინგი განხორციელდება მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის აქტივობების შეფასებით და შემდგომ პროგრესანგარიშების მომზადებით.

ცენტრის სტრატეგიის სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული პორტალის - www.monitoring.eqe.ge მეშვეობით. ყოველი აქტივობის დასრულებისას ხორციელდება აქტივობის შუალედური და საბოლოო შეფასება. შუალედურ შეფასებას ახორციელებს დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ხოლო საბოლოო შეფასებას ახორციელებს აქტივობაზე პასუხისმგებელი სამსახურის კურატორი დირექტორის მოადგილე ან დირექტორი. სტრატეგიის სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგად მუშავდება ორი ტიპის ანგარიში - პროგრესანგარიში (6 და 9 თვე) და მონიტორინგის წლიური ანგარიში.

პროგრეს და საბოლოო ანგარიშს შესაბამის სამსახურებთან და დირექტორს დაქვემდებარებულ პირებთან კოორდინაციით ამზადებს დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. მონიტორინგის საბოლოო ანგარიში არის ცენტრის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი, რომელიც საანგარიშო წლის დასრულებიდან, არაუგვიანეს პირველი კვარტლისა მუშავდება და საჯაროდ ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.

სტრატეგიის შეფასება ხორციელდება მიზნისა და ამოცანების ინდიკატორების გაზომვით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: ეფექტურობა, ეფექტიანობა, შესაბამისობა, მდგრადობა და გავლენა. შედეგად დგინდება რამდენად მიაღწია სტრატეგიამ დასახულ მიზნებს, რა გავლენა იქონია განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რამდენად თავსებადია შესრულებული საქმიანობა სტრატეგიულ მიზნებთან და რა გასაუმჯობესებელი მხარეები არსებობს, რომლებიც შემდგომ სტრატეგიულ ციკლში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სტრატეგიის შეფასება ხორციელდება ორჯერ - შუალედური (3 წლიანი) და საბოლოო შეფასების (5 წლიანი) სახით. შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მეოთხე წლის პირველ კვარტალში და სრულდება არაუგვიანეს მესამე კვარტლისა. საბოლოო შეფასება იწყება სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლიდან პირველ კვარტალში და სრულდება სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს მეოთხე კვარტლისა. შუალედური და საბოლოო შეფასების დოკუმენტები წარედგინება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს.

მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე, შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტში ცვლილებების შეტანა დოკუმენტის დამტკიცებისათვის დადგენილი წესით. კერძოდ, შუალედურ შეფასებაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების შემდგომ, სტრატეგიის შესაბამისი მიზნები და ამოცანები შესაძლოა დარედაქტირდეს, რაც ცენტრის მიზნებს მეტად ეფექტიანს გახდის. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ცვლილება, რომელიც განხორციელდება ეფუძნებოდეს მტკიცებულებებზე და კვლევებზე დაფუძნებულ მიდგომას.

შესაძლო რისკები

ცენტრის ეფექტური და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. უფრო მეტიც, ორგანიზაციულ დონეზე, მნიშვნელოვანია ცენტრის დამოუკიდებლობის კიდევ უფრო მეტად ზრდა. ამასთან, სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურას შორის კოორდინირებული თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ეკონომიკური რისკებიდან შესაძლოა განხილულ იქნას ქვეყანაში ეკონომიკური არასტაბილურობა. სტრატეგიის ეფექტიან განხორციელებაზე შესაძლოა უარყოფითი შედეგი იქონიოს ცენტრის მიერ შეთავაზებულ სერვისებზე დაბალმა მომართვიანობამ და საჭირო აქტივობებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსების შემცირებამ.

ერთ-ერთ რისკს წარმოადგენს სამართლებრივი ჩარჩოს მუდმივი ცვლილება. კერძოდ, განათლების ხარისხის სტანდარტების ხშირი გადახედვა, რაც დაინტერესებული მხარეებისთვის ნაკლებად განჭვრეტადს ხდის პროცესს. ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას

საგანმანათლებლო დაწესებულებების არასაკმარის მზაობას შესაბამისობაში მოვიდნენ ცენტრის მიერ ინიცირებულ ახალ სტანდარტებთან.
განათლების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ხშირი ცვლილება, ერთ-ერთ რისკს წარმოადგენს, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ცენტრის სტრატეგიის ეფექტურ ფუნქციონირებაზე. სტაბილური, გააზრებული და თანმიმდევრული პოლიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის ძირითადი მიზნების განსახორციელებლად.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი N2, 0193, თბილისი, საქართველო

info@eqe.ge | +995 32 2 02 21 21 | https://eqe.ge/